გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კინომცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს წევრი მაქსიმ იავიჩი შემოუერთდა საბჭოს სხდომას

მეცხრე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0231 ენის დაუფლება
კრედიტების რაოდენობა - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარიამ კილანავამ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები და თანდართული დოკუმენტაცია. დასკვნის გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთაგან ნაწილი შემდგომ რჩევის სახით ჩამოყალიბდა. ექსპერტის თქმით მათ მიერ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური ენის კურსების (მაგ., ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა) დასახელებების განახლება ისე, რომ სახელწოდებებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივ სპეციფიკაზე, ხოლო სასწავლო შედეგები ჩამოყალიბდეს დარგობრივი ლექსიკისა და კომუნიკაციის ათვისების კონტექსტში, ზოგადი ენობრივი C1 დონის ნაცვლად. ეს ცვლილებები გახდის კურსებს დაშესაბამისად პროგრამას უფრო გამჭვირვალეს, პრაგმატულს და საბაზრო მოთხოვნებთან თანხვედრილს", მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ მიუთითა, აღნიშნული საკითხი გადამწყვეტი არ იყო და ამ მიმართულებით შეიცვალა წინაპირობა, რაც შეფასდა მისაღებად, რეკომენდაცია ძალაში დარჩა, ვინაიდან კურსის სახელწოდება და მისი შინაარსობრივი მახასიათებლები ურთიერთშესაბამისობაში უნდა იყოს. ექსპერტის თქმით, სტანდარტის 2.4 კომპონენტთან გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: ა) "რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ცალკე ქვეპუნქტად განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდები და კომპონენტები (გამოცდები, შუალედური ტესტები, წერითი ნაშრომები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვ.), ასევე მათი წილობრივი მნიშვნელობა საბოლოო შეფასებაში" ბ) "რეკომენდებულია შეფასების სისტემის შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტებს შორის ბალანსის დაცვა სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიზნობრივად დანერგვის სახით (ნაშრომის გეგმებისა და მონახაზების შეფასება, რეფლექსია, თანატოლთა შეფასება), რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას დროულად მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ სწავლის

შედეგები". შეფასების სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია პროგრამაში წარმოდგენილი არ იყო, თუმცა საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა საჯარო დოკუმენტს წარმოადგენს და აუცილებელია, შესაბამისი ინფორმაცია აბიტურიენტისთვის მკაფიოდ და დეტალურად იყოს ხელმისაწვდომი. ასევე ექსპერტის თქმით, დასკვნაში მოცემულია სამი რჩევა. ერთ-ერთი რეკომენდაცია რჩევის სახით ჩამოყალიბდა, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები უცვლელი დარჩა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ მრავალი წლის განმავლობაში პირველად მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შემდეგ შეფასების ცვლილება და რეკომენდაციის რჩევის სახით ჩამოყალიბება, რაც, მისი შეფასებით, მიუთითებს, რომ პროცესი ნამდვილად ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე. მისივე განმარტებით, ყველა რეკომენდაცია მიმართულია სტრუქტურირების, დეტალიზაციისა და ფორმალიზაციისკენ. დაწესებულება იზიარებს პოზიციას, რომ აღნიშნული ცვლილებები ინფორმაციულობის გაზრდას ემსახურება, თუმცა მათი განხორციელება მხოლოდ დეპარტამენტის კომპეტენციას არ განეკუთვნება და საჭიროებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით შესაბამის მხარდაჭერასაც. ამასთან, მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესისთვის მეთოდების შესაბამისი სეგმენტი აქტივირებული არ ყოფილა.
პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით თინათინ ღუდუშაურმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი იყო კურსის სათაურში ყურადღება გაემახვილებინა მიზნობრივ აუდიტორიაზე. მისივე თქმით, დეპარტამენტში ცვლილების საფუძვლად განიხილებოდა გარკვეული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სასწავლო მასალა შესაძლოა არარელევანტური ყოფილიყო, თუმცა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად აღნიშნული გარემოება არ დადასტურდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ასეთი საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში უნივერსიტეტი მზად არის, შესაბამისი ზომები მიიღოს.
დაწესებულების წარმომადგნელის თქმით, სილაბუსის აღწერით ნაწილში ასახულია C1 დონის კომპეტენცია, რადგან ამის შესაბამისი საფუძველი არსებობდა. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დარგობრივი ენების სწავლების შინაარსობრივი ნაწილი არ გულისხმობს მხოლოდ დარგობრივი ტერმინოლოგიის სწავლებას. მისი თქმით, მხოლოდ ტერმინოლოგიური სისტემა შესაძლოა არ მოითხოვდეს ზოგადი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩართვას, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული თემატიკა მოიცავს ფართო და კომპლექსურ საკითხებსა და ტექსტებს, რომლებიც წარმოადგენს როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი ინგლისური ენის კომპონენტების სინთეზს.
რაც შეეხება მეორე და მესამე რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგნელმა, თინათინ ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ ისინი დაკავშირებულია გაუმჯობესებასთან, სტრუქტურულ მოწესრიგებასთან, დეტალიზაციასთან და ფორმალური ინსტრუმენტების სპეციფიკაციის დაზუსტებასთან. ამასთან, მისი შეფასებით, სილაბუსებში უკვე მოცემულია აუცილებელი და საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ სასწავლო მასალა და შეფასების სისტემა სტუდენტისთვის იყოს პროგნოზირებადი და წინასწარ ცნობილი. მან ასევე დაამატა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, შესაბამის პროცესში კი ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:01

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეათე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ფილოლოგია
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0231 ენის დაუფლება
კრედიტების რაოდენობა- 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხვთისო მამისიმედიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 25 იანვრის ბრძანების საფუძველზე, "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. მისი განმარტებით, დეტალურად იქნა შესწავლილი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე, ინდივიდუალურად განიხილეს 2019 წლის აკრედიტაციისა და შემდგომი არაგეგმიური მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები.
მისივე თქმით, შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. პროგრამის ანალიზის საფუძველზე ექსპერტებმა მიიღეს სრულყოფილი წარმოდგენა პროგრამის სწავლის შედეგების, მათი შეფასების, მიზნების, სასწავლო კურსების სილაბუსებისა და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების შესახებ. საანგარიშო პერიოდში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოიკვეთა რიგი პოზიტიური ცვლილებები, თუმცა აღნიშნული ცვლილებები არ შეხებია პროგრამის სტრუქტურასა და მიზნებს.

ექსპერტმა, ხვთისო მამისიმედიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების დამტკიცების შემდეგ დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებები, რის შედეგადაც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ექვსის ნაცვლად სამ კომპონენტად ჩამოყალიბდა. ეს კომპონენტებია: "ცოდნა და გაცნობიერება", "უნარები" "პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" შესაბამისად, სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. მისი შეფასებით, სწავლის შედეგების ფორმულირება ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად და ზოგადად, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მისივე განმარტებით, სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესაბამის დარგში რელევანტური ცოდნის მიღებას. სასწავლო გეგმა აერთიანებს როგორც ზოგადჰუმანიტარულ, ისე სპეციალურ ფილოლოგიურ სასწავლო კურსებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას. აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება ჰუმანიტარული მიმართულების თანამედროვე სწავლების ძირითად პრინციპებსა და სწავლების ინტერდისციპლინურ ხასიათს. ამასთან, საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო პირობებს.

ექსპერტის შეფასებით, შეფასების დროს გამოიკვეთა გარკვეული სისუსტეებიც, რომელთა გაუმჯობესება სწავლის შედეგების მიღწევას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. კერძოდ, გაცემულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია და გულისხმობს სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირებას იმგვარად, რომ იგი თანაბრად და სისტემურად მოიცავდეს როგორც ქართული ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის საწყის საკითხებს. აღნიშნულის გარდა, გაცემულია სამი რჩევაც.
რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომლის თანახმადაც იგი ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას. ამასთან, დაწესებულებამ წარადგინა პროგრამის მოდიფიცირებული სილაბუსი, რომელშიც გათვალისწინებულია გამოთქმული შენიშვნები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა და შესაბამისი ცვლილება უკვე ასახულია სილაბუსში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:13

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეთერთმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის საკითხი);

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნებათმცოდნეობა
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნებთმცოდნეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0213 სახვითი ხელოვნება
კრედიტების რაოდენობა - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ქავთარიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა კარგად არის აგებული, სტუდენტზე ორიენტირებულია და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მისი განმარტებით, პროგრამა შესაბამის კომპონენტებთან, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით, უზრუნველყოფს სტუდენტისთვის საჭირო აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია შეეხება შეფასების გეგმას და მიუთითებს, რომ იგი უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულებს. მეორე რეკომენდაცია ეხება რეზიუმეების განახლებასა და ბოლო პერიოდის პუბლიკაციების დამატებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პირველი რეკომენდაცია გაითვალისწინა. მისი განმარტებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო ნაშრომს, სადაც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი არასრულად იყო წარმოდგენილი, რის გამოც აისახა ის უნარები და თეორიული ცოდნა, რომელთა ნაკლებობაც რეკომენდაციაში იყო მითითებული. ახალი სწავლის შედეგების შეფასების რუკა წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციაში. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა მეორე რეკომენდაციაც და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მითითებები მიეცა აკადემიურ პერსონალს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:18
დასრულების დრო: 15:21

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეთორმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნეს ანალიტიკა
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა - 240

მეცამეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა - 240

მეთოთხმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ვინაიდან შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა სამივე საკითხი განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მე-12, მე-13 და მე-14 საკითხების განხილვა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესში გაცემული კლასტერული და ინდივიდუალური რეკომენდაციები დაწესებულებამ სრულად შეასრულა. რეკომენდაციები შეეხებოდა პროგრამების ბიუჯეტის დეტალურ გაშლას, ტექნიკურ უზუსტობებს, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და სათაურებს შორის შეუსაბამობის საკითხებს.

სხოდმის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოლიაძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 15:29

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და - მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან